ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 61
16/05/2022

61-22-4-202205161602

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციური (COVID-19) დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის (საგანგებო სიტუაციების გეგმა) დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის, „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებული ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარგულების, „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID - 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N01-127/ო ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებისა და ამ სფეროში მოქმედი სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციური (COVID-19) დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა (საგანგებო სიტუაციების გეგმა, დანართი№1).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციური (COVID-19) დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის (საგანგებო სიტუაციების გეგმა) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 14 აგვისტოს ბრძანება №86.

3. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისათვის წინამდებარე ბრძანების დაგზავნა დაევალოს სახალხო დამცველის აპარატის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს.

4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ, N64), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

დანართი N1

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში
ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციური (COVID-19) დაავადებისთვის
მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა
(საგანგებო სიტუაციების გეგმა)

თავი I. ზოგადი ნაწილი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციური (COVID-19) დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა (შემდგომში - საგანგებო სიტუაციების გეგმა) არის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციური (COVID-19) დაავადებისთვის პრევენციისა და მასზე რეაგირების სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც აწესრიგებს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლის ქცევას საფრთხის შემცველი საქმიანობის განხორციელებისას და ამ მიზნით ადგენს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებებს.

2. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საგანგებო სიტუაციების გეგმა შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებული ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარგულების, „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID - 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N01-227/ო ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, და ამ სფეროში მოქმედი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

3. საგანგებო სიტუაციების გეგმა განსაზღვრავს:
ა) ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციური (COVID-19) დაავადების პრევენციულ ღონისძიებებს;
ბ) საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციური (COVID-19) დაავადების სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში განსახორციელებელ ღონისძიებებს;
გ) საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურული ერთეულების და პასუხისმგებელი პირების ფუნქციებსა და მოვალეობებს ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციური (COVID-19) დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების მიზნით.

მუხლი 2. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციური (COVID-19) დაავადების პრევენციის ღონისძიებები

1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციური (COVID-19) დაავადების პრევენციის მიზნით:

ა) სახალხო დამცველის აპარატის თბილისსა და რეგიონებში მდებარე შენობებში (შემდგომშ - აპარატის შენობა) შესვლისთანავე რეკომენდირებულია როგორც დასაქმებულის, ასევე შენობაში შემსვლელი ნებისმიერი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა ტემპერატურის გაზომვით;
ბ) თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოიკრას ინფორმაცია ვირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
გ) საქართველოს სახალხო დამცველის ბრძანებით განისაზღვრება ჰიბრიდული მუშაობის რეჟიმი;
დ) საჭიროების შემთხვევაში, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (ხელთათმანები, ნიღაბი, დამცავი ფარი -საჭიროების შესაბამისად, ბახილები, ხალათი, ჩაჩი და სხვა);
ე) სახალხო დამცველის აპარატის შენობის შესასვლელში უნდა განთავსდეს დეზობარიერები;
ვ) სამუშაო ადგილებზე უნდა განთავსდეს ზედაპირების სადეზინფექციო საშუალებები და მათი სწორად მოხმარების წესები;
ზ) სამუშაო ადგილზე უნდა განთავსდეს ხელის პერიოდული დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე, 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარი და მათი სწორად მოხმარების წესები;
თ) დასაქმებულებს მიეწოდოს ინფორმაცია ინდივიდუალური დაცვისა და ჰიგიენური საშუალებების სწორად გამოყენებასა და შემდგომში მათ შენახვა/მოცილებაზე;
ი) უზრუნველყოფილი იქნეს სამუშაო სივრცის სველი წესით დალაგება/დეზინფექცია;
კ) პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე, უზრუნველყოფილი იქნეს სამუშაო სივრცეების/სათავსების ბუნებრივი ვენტილაცია (შეუძლებლობის შემთხვევაში გამოიყენოს ხელოვნური ვენტილაცია გარედან შემოტანილი ჰაერით, ცირკულაციითა და გარეთ გატანით);
ლ) სახალხო დამცველის აპარატის შენობაში განთავდეს დახურული კონტეინერები (რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი) დასაქმებულთა/ვიზიტორთა მიერ გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის განთავსების მიზნით.
მ) უზრუნველყოფილი იქნეს ნარჩენების პარკის ამოღება და დროული გატანა ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით.

მუხლი 3. ვირუსული ინფექციის ნიშნების ან/და სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში იზოლაციის პოლიტიკა და პროცედურები

1. სახალხო დამცველის აპარატის შენობაში მოსული ნებისმიერი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების შედეგად მაღალი ტემპერატურის (37.0^0 და მეტი) დაფიქსირების, ვირუსული ინფექციის ნიშნების ან/და სიმპტომების აღმოჩენის/გამოვლენის შემთხვევაში:

ა) ასეთი პირი არ დაიშვება აპარატის შენობაში და შეეთავაზება შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-თან დაკავშირება;
ბ) კოვიდ ინფიცირებული ან კოვიდ ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფი სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს და დაიცვას საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესები.“

2. სახალხო დამცველის აპარატის შენობაში შემსვლელი ნებისმიერი პირის მიერ, სურვილის შემთხვევაში, ტემპერატურის გაზომვის შედეგად მაღალი ტემპერატურის (37.0^0 და მეტი) დაფიქსირების დროს, აპარატის შენობაში მყოფ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის წარმომადგენლებს ეთხოვოთ ასეთი პირები არ დაუშვან სახალხო დამცველის აპარატის შენობაში.

მუხლი 4. დამსაქმებელის ვალდებულებები

1. სახალხო დამცველის აპარატში ჰიგიენის და ინფექციის კონტროლის სათანადო პრაქტიკის განხორციელების მიზნით დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) ხელების ხშირი და გულდასმით დაბანის ხელშეწყობა;

ბ) ხელის დასაბანი ადგილის გამოყოფა თანამშრომლებისა და მესამე პირებისთვის;

გ) ხელის დასაბანი საშუალებების, სულ მცირე 70 % ალკოჰოლის შემცველი ხელის გამწმენდი სითხის, ზედაპირების სადეზინფექციო საშუალებებისა და დაცვის ინდივიდუალური საშუალებების შეძენა თამაშრომლებისათვის;

დ) თანამშრომელთა წახალისება, დარჩნენ სახლში, მათ შორის, მაშინ როცა ისინი ავად არიან არა კოვიდ ინფექციით;

ე) შესაძლებელობის შემთხვევაში, სამუშაოს სპეციფიკის და თანამშრომელთა ინდივიდუალური რისკ-ფაქტორების (ასაკი, ქრონიკული დაავადების არსებობა და ა.შ.) გათვალისწინებით მუშაობის სხვადასხვა რეჟიმის შემოღება (დისტანციური, შერეული, მორიგეობა და სხვა);

ვ) თანამშრომელთა ინფორმირება ვირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების და მასზე რეაგირების შესახებ.

მუხლი 5. სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებულის ვალდებულებები:

1. სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებული ვალდებულია:

ა) დაიცვას ჰიგიენის წესები სამუშაო ადგილზე;

ბ) სამუშაო პროცესი განახორციელოს წინამდებარე დოკუმენტში მითითებული წესების შესაბამისად;

გ) საფუძვლიანად დაიბანოს ხელები წყლითა და საპნით, ხოლო დაბანის შემდგომ კარგად გაიმშრალოს. იმ შემთხვევაში თუ ხელის დაბანა შეუძლებელია, გამოიყენოს სპირტის შემცველი ან/და ანალოგიური თვისებების მქონე ხელის საწმენდი სადეზინფექციო საშუალებები;

დ) მისალმებისას არ ჩამოართვას ხელი;

ე) მოერიდოს სხვა დასაქმებულებთან/მესამე პირებთან შეხებას;

ვ) მოერიდოს აპარატის შენობაში სხვებთან თავშეყრას, დაიცვას უსაფრთხო დისტანცია (არანაკლებ 2მ), ატაროს შენობაში პირბადე, იმ შემთხვევის გარდა, როცა სამუშაო ოთახში მარტო იმყოფება;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, არსებული რისკების გათვალისწინებით, გამოიყენოს დაცვის ინდივიდუალური საშუალებები.

2. დასაქმებული შესაბამისი ხანგრძლივობით არ უნდა გამოცხადდეს სამუშაო ადგილზე იმ შემთხვევაში, თუ აღენიშნება რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.).

თავი II. რისკების შეფასება და მათი მართვა

მუხლი 6. ტერმინთა განმარტება

ა) **საფრთხე** - სამუშაო პროცესის თავისებურებები, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობას, გამოიწვიოს მისი დაავადება ან მის ჯანმრთელობას სხვა პრობლემები შეუქმნას;

ბ) **რისკი** - სამუშაო პროცესის ფაქტორების გავლენით დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების ან მისთვის სხვაგვარი ზიანის მიყენების ალბათობის ხარისხი, შესაბამისი შედეგის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით;

გ) **რისკის შეფასება** - ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ეფუძნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აღიარებულ მეთოდოლოგიას და მოიცავს სამუშაო სივრცეში სამუშაო პროცესთან დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიცირებას, ანალიზს, შეფასებასა და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრას და მათ განხორციელებას.

დ) **ინდივიდუალური დაცვის საშუალებები** – სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების დაცვის მიზნით გამოყენებული საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ინდივიდუალურად, დასაქმებულზე საფრთხის შემცველი ფაქტორების გავლენის შესამცირებლად ან თავიდან ასაცილებლად (მოცემულ შემთხვევაში: რესპირატორული დამცავი საშუალებები, სახის დამცავი ფარი, დამცავი სათვალეები, ხელთათმანი, სადეზინფექციო სითხე, ხალათი და სხვა;

ე) **კოლექტიური დაცვის საშუალებები** – ტექნიკური და საინჟინრო საშუალებების ერთობლიობა, რომლებიც კონსტრუქციულად და ფუნქციურად დაკავშირებულია სამუშაო გარემოსა და სამუშაო პროცესთან და განკუთვნილია საფრთხის შემცველი ფაქტორების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად (მოცემულ შემთხვევაში: დეზობარიერი, გამჭვირვალე პლასტმასის შირმები და სხვა).

მუხლი 7. საფრთხეების იდენტიფიცირება

1. სახალხო დამცველის აპარატში ინფიცირების საფრთხე დასაქმებულთათვის არსებობს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლებამოსილების განხორციელებისას, მათ შორის:

ა) წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების განხორციელებისას ან დახურულ (შსს-ს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ან ფსიქიკური ჯანმრთელობის ინსტიტუციების) ან სხვა დაწესებულებებში (მაგ სამხედრო ნაწილები) ინდივიდუალური ვიზიტის (პირის მონახულების) ან მონიტორინგის განხორციელებისას;

ბ) ბავშვის უფლებათა დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელება (ვიზიტები ადგილებზე ბავშვის უფლებების შესწავლის მიზნით, მონიტორინგი);

გ) სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელებისას (მონიტორინგი, მათ შორის, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში; შეხვედრა განმცხადებლებთან);

დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელებისას (მოიტორინგი, ინდივიიდუალური ვიზიტები შშმპ პირებთან, შეხვედრა განმცხადებლებთან).

ე) დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებზე ზედამხედველობის განხორციელებისას (შეხვედრა განმცხადებლებთან, ზეპირ მოსმენაზე მოწვევა);

ვ) სახალხო დამცველის აპარატში მოსულ მოქალაქეებთან უშუალო კონტაქტისას;

ზ) აპარატის შენობასა და მის გარეთ ოფიციალური შეხვედრებში მონაწილეობის დროს;

თ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ან საერთო სასამართლოში სახალხო დამცველის აპარატის პოზიციის წარდგენისას.

მუხლი 8. პირთა წრე, რომლებსაც შეიძლება მიადგეს ზიანი საფრთხის შედეგად

ამავე ბრძნებით განსაზღვრული საფრთხის შედეგად, ზიანი შეიძლება მიადგეს სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებულ ნებისმიერ პირს.

მუხლი 9. ღონისძიებები რისკის აღმოფხვრის/შემცირების მიზნით

1. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლი, რომელიც ახორციელებს რისკის შემცველ საქმიანობას, საქმიანობის დაწყებამდე და საქმიანობის პროცესში ვალდებულია:

ა) სრულად დაიცვას ქვეყანაში დაწესებული ეპიდემიოლოგიური მოთხოვნები და გაითვალისწინოს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სახელმძღვანელო მითითებები და რეკომენდაციები.
ბ) საქმიანობის სპეციფიკის და საჭიროების გათვალისწინებით, გამოიყენოს ინდივიდუალური დაცვის ერთი, რამდენიმე ან ყველა საშუალება წინასწარ დადგენილი წესის შესაბამისად: პირბადე, ხელთათმანი, სათვალე/სახის დამცავი ფარი, ხალათი, ჩაჩი, ბახილები, სადეზინფექციო ხსნარი, სპეციალური საშუალებების უტილიზაციისთვის განკუთვნილი კონტეინერი ან პოლიეთილენის პარკი, რომელიც ჰერმეტულად იხურება და სხვა. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება უნდა მოხდეს უშუალოდ უფლებამოსილების განხორციელების დაწყების წინ (მონიტორინგის დაწყება, დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში შესვლის წინ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სხვა პირებთან კომუნიკაციის დაწყება და სხვა);
2. საჭიროების შემთხვევაში, ეკიპირების დაწყების წინ უნდა მოხდეს ხელების დამუშავება სადეზინფექციო ხსნარით მინიმუმ 20 წამის განმავლობაში, ხელების დაბანის ტექნიკის გამოყენებით;
3. საქმიანობის სფეციფიკის და შესაბამისი საჭიროების გათვალისწინებით, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელმა საფრთხის შემცველი საქმიანობის დაწყებამდე უნდა მოირგოს ინდივიდუალური დაცვის ერთი, რამდენიმე ან ყველა საშუალება შემდეგი თანმიმდევრობით:
ა) მოირგოს ხალათი;
ბ) მოირგოს ხელთათმანი, იმგვარად, რომ ხალათის სახელო დაიფაროს ხელთათმანით;
გ) მოირგოს პირბადე ცხვირზე მჭიდროდ დაფიქსირებით, იმგვარად, რომ სახე საიმედოდ იყოს დაცული;
დ) მოირგოს სათვალე/სახის დამცავი ფარი;
ე) დაიფაროს ჩაჩი იმგვარად, რომ დაფარული იყოს თავის თმიანი ნაწილი.
ვ) შესაძლებელია გამოიყენოს ბახილები.
4. სახალხო დამცველის აპარატის შენობაში საქმიანობის განხორციელებისას, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელი და იქ მყოფი ნებისმიერი პირი ვალდებულია გამოიყენოს პირბადე წინამდებარე წესების შესაბამისად, მისი სურვილის შემთხვევაში - ხელთათმანები და უზრუნველყოს ხელების დამუშავება დადგენილი წესით.

5. თანამშრომელთა მიერ აპარატის შენობის გარეთ საფრთხის შემცველი საქმიანობასთან დაკავშირებული უფლებამოსილების განხორციელებისას ვალდებულია გამოიყენოს წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი თანმიმდევრობის შესაბამისად ინდივიდუალური დაცვის საშუალებები შესაბამისი საჭიროების გათვალისწინებით.
6. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელი საფრთხის შემცველი საქმიანობის განხორციელების პროცესში ვალდებულია გაითვალისწინოს და დაიცვას შემდეგი მოთხოვნები:

ა) არ შეეხოს სხვადასხვა საგნის ზედაპირებს, როცა ასეთი საჭიროება არ არსებობს;
ბ) კომუნიკაციის დროს დაიცვას უსაფრთხო დისტანცია (სულ მცირე, 2 მეტრი);
გ) ერთჯერადი პირბადეები გამოიცვალოს დადგენილი წესით, ყოველ 2 საათში ერთხელ და გამოყენებული პირბადე მოათავსოს ნარჩენების პარკში, ჰერმეტულად დახურულ მდგომარეობაში;
დ) დოკუმენტაციას შეეხოს მხოლოდ ხელთათმანის სადეზინფექციო ხსნარით დამუშავების შემდეგ;
ე) მუშაობის პროცესში პერიოდულად და კონკრეტული დოკუმენტაციის შემოწმების დასრულებისთანავე დაიმუშაოს ხელთათმანი ხსნარით;
ვ) მუშაობის პროცესში პერიოდულად და მუშაობის დასრულებისთანავე სადეზინფექციო ხსნარით დაამუშაოს სამუშაო ინვენტარი;
ზ) ინტერვიუ ჩაატაროს დამცავის ბარიერის მიღმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან უსაფრთხო დისტანციის დაცვით (სულ მცირე, 2 მეტრი);
თ) დაიცვან იმ დაწესებულებაში, ორგანიზაციაში დაწესებული წესები და სანიტარული მოთხოვნები, რომელშიც უწევთ უფლებამოსილების განხორციელება.

7. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელმა საქმიანობის დასრულებისას, რეკომენდირებულია დაიცვას ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მოხსნის შემდეგი თანმიმდევრობა და წესი:
ა) დაიმუშაოს ხელთათმანები სადეზინფექციო ხსნარით მინიმუმ 20 წამის განმავლობაში, ხელების დაბანის ტექნიკის გამოყენებით;
ბ) ხელთათმანებს ფრთხილად გადავწევით და გამოვაჩინოს ხალათის სახელო;
გ) ხალათი გაიხადოს ზურგის მხრიდან, ამოტრიალების პრინციპით, იმგვარად, რომ ხალათის გარეთა (სავარაუდოდ დაბინძურებული) მხარე მოექცეს შიგნით;
დ) საგულდაგულოდ დაკეცოს ხალათი და მოათავსოს ნარჩენების პარკში;
ე) ისევ დაიმუშაოს ხელთათმანი სადეზინფექციო ხსნარით წინამდებარე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული წესით;
ვ) მოიხადის ჩაჩი და მოათავსოს ნარჩენების პარკში;
ზ) მოიხსნას სათვალე/სახის დამცავი ფარი (მრავალჯერადი გამოყენების), გულმოდგინედ დაამუშაოს სადეზინფექციო ხსნარით როგორც შიდა, ასევე გარე ზედაპირზე და მოათავსოს ცალკე, სპეციალურად ამისთვის განკუთვნილ პარკში, რომელიც ჰერმეტულად უნდა დაიხუროს;
თ) ისევ დაიმუშაოს ხელთათმანი სადეზინფექციო ხსნარით;
ი) მოიხსნას პირბადე იმგვარად, რომ არ შეეხოს დამცავ ზედაპირს და მოათავსოს ნარჩენების პარკში;
კ) მრავალჯერადი გამოყენების პირბადის გამოყენების შემთხვევაში, შეინახოს ის პოლიეთილენის პარკში და დადგენილი წესის შესაბამისად გარეცხოს საყოფაცხოვრებო პირობებში;
ლ) გაიხადოს ბახილები, მოათავსოს ნარჩენების პარკში და ისევ დაიმუშაოს ხელთათმანი სადეზინფექციო ხსნარით;
მ) ბოლოს გაიხადოს ცალი ხელთათმანი ამოტრიალების პრინციპით, მოათავსოს მეორე ხელის გულზე ისე, რომ ამოტრიალებული მეორე წყვილი ხელთათმანის შიგნით მოექცეს; გამოყენებული ხელთათმანები მოათავსოს ნარჩენების პარკში და პარკი შეკრას ჰერმეტულად;

ნ) პოლიეთილენის თავმოკრული პარკი გადააგდოს ,,არასახიფათო“ ნარჩენებთან ერთად ან საყოფაცხოვრებო ნაგვის კონტეინერში და ხელები სადეზინფექციო ხსნარით დამუშაოს დადგენილი წესით.

8. საფრთხის შემცველი საქმიანობის დაწყებამდე გონივრული ვადით ადრე (გამონაკლისი, გადაუდებელი შემთხვევების გარდა, როდესაც უფლებამოსილების განხორციელების აუცილებლობა წინასწარ არ იყო ცნობილი და საჭიროა მყისიერი რეაგირება), სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელმა სახალხო დამცველის აპარატის ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტისათვის მიმართვის გზით უნდა გამოიწეროს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, აპარატში დადგენილი წესების შესაბამისად.

9. წინამდებარე მუხლით დადგენილი წესების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს სარფთხის შემცველი საქმიანობის განმახორციელებლი თანამშრომლის უშუალო უფროსი (შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი).

თავი III. სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებები ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციური (COVID-19) დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის განხორციელების მიზნით

მუხლი 10. ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტი

1. წინამდებარე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებელი განცორციელების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატის ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს სახალხო დამცველის აპარატის შენობის შესასვლელებში დეზობარიერების განთავსება შესაბამისი ნიშნების მითითებით და უზრუნველყოს მათი გამოსაყენებლად ვარგისი მდგომარეობის შენარჩუნებაზე ზედამხედველობა;
ბ) სახალხო დამცველის აპარატის შენობაში განთავდეს დახურული კონტეინერები (რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი);
გ) უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესაძენად საჭირო პროცედურების დროული განხორციელება, მარაგის მუდმივი გაკონტროლება და დროული გაცემა თანამშრომლის მოთხოვნის შემთხვევაში;
დ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-123/ო ბრძანების ,,ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ შესაბამისი დანართით გათვალისწინებული წესით სამუშაო სივრცის სველი წესით დალაგება/დეზინფექციაზე და ზედამხედველობის განხორციელება;
ე) უზრუნველყოს წინამდებარე დოკუმენტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“-„მ“ ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნების შესრულება და მათი შესრულებაზე ზედამხედველობის განხორციელება.

მუხლი 11. სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადმიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი

1. წინამდებარე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებელი განცორციელების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი ვალდებულია:

ა) თვალსაჩინო ადგილას გამოაკრას ინფორმაცია ვირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
ბ) სათანადო ადგილას გამოაკრას ხელის ჰიგიენური საშუალებების სწორად მოხმარების წესები;
გ) დასაქმებულებს მიაწოდოს ინფორმაცია ინდივიდუალური/კოლექტიური დაცვისა და ჰიგიენური საშუალებების სწორად გამოყენებასა და შემდგომში მათ შენახვა/მოცილებაზე;
დ) უზრუნველყოს წინამდებარე დოკუმენტის გაცნობა სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებულთათვის.